ლიდერის დამარცხება

კიევი. ნ. ს. ხრუშჩოვის სახელობის სტადიონი. 13 მაისი.

“დინამო” (კიევი) – “დინამო” (თბილისი) – 2:0 (1:0).

“დინამო” (კიევი) – მაკაროვი, ეროხინი, გოლუბევი, პოპოვიჩი, იუსტი, ვოინოვი, გრამატიკოპულო, კოლცოვი, კორშუნოვი, კომანი, ფომინი.

“დინამო” (თბილისი) – ს. კოტრიკაძე, ელოშვილი, ძიაპშპა, დავარაშვილი, კილაძე, რამიშვილი, ხასაია, ა. კოტრიკაძე, ღოღობერიძე, ჭკუასელი, ქვლივიძე.

მსაჯი: ა. მენშიკოვი (მოსკოვი).

თანაკლუბელთა ამ მეტად საპასუხისმგებლო მატჩში კიეველები თავისი საუკეთესო საბრძოლო შემადგენლობით გამოვიდნენ, ხოლო თბილისელთა რიგებს კიდევ ერთი ძირითადი მოთამაშე დააკლდა – მარცხენა მცველი ხოჭოლავა.

მიუხედავად სველი, მძიმე გრუნტისა, ძლიერი წვიმის შემდეგ, თამაშმა თავიდანვე მეტად მწვავე ფორმა მიიღო. სახიფათო მომენტები ხშირად იქმნებოდა ორივე კართან, მაგრამ კიეველთა შეტევას უფრო ხანგრძლივი ხასიათი ჰქონდა. მასპინძლებმა პირველ ტაიმში შეძლეს ერთი ბურთის გატანა მოწინააღმდეგის კარში და ეს უპირატესობა შეინარჩუნეს შესვენებამდე.

მეორე ტაიმის დასაწყისში უპირატესობა კვლავ კიეველებს ჰქონდათ, მაგრამ შემდგომში, ბოლო 15 წუთის განმავლობაში ინიციატივა თბილისელებმა აიღეს ხელთ. ვერ გამოიყენეს გოლის გატანის შესაძლებლობანი ჭკუასელმა, ხასაიამ, ღოღობერიძემ. თბილისელთა ერთ–ერთი იერიშისას კიევის “დინამოს” მცველებმა თავიანთ მარჯვენა ფრთაზე მიაწოდეს ბურთი. აქედან იგი გადასცეს ცენტრში კომანს, რომელმაც ბურთი ფეხებშუა გაუშვა ფომანთან, რომელმაც ანგარიში ორამდე გაზარდა.

საინტერესო მატჩი მოიგო კიევის “დინამომ” – 2:3.

დუბლიორთა შეხვედრა მოიგეს თბილისელებმა – 3:0.

“ლელო”, 14 მაისი, 1957 წ.